


**N54G2002F**

**მოხმარების ინსტრუქცია**

**OVITRELLE 250 მიკროგრამიანი/0,5 მილილიტრიანი**
**მოხმარებისთვის გამზადებულ შპრიცში მოთავსებული საინექციო ხსნარი**

**გამოიყენება კანის ქვეშ ინექციის გზით**
**სტერილურობა:**

- **ეფექტური ნივთიერება**:
  კორიოგონადოტროპინ ალფა.
  მოხმარებისათვის გამზადებული შპრიცი შეიცავს 250 მიკროგრამ/0,5 მილიგრამ (6500IU-ს ტოლფასი) კორიოგონადოტროპინ ალფას.
- **დამხმარე ნივთიერებები**:
  მანიტოლი, მეტიონინი, პოლაქსამერ 188, გაზავებული ფოსფორის მჟავა, ნატრიუმის ჰიდროქსიდი და საინექციო სითხე.

**ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას**.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს OVITRELLE და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება OVITRELLE -ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ OVITRELLE?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. OVITRELLE-ის შენახვის წესები.

## 1. რას წარმოადგენს OVITRELLE და რისთვის გამოიყენება?

OVITRELLE წარმოადგენს ადამიანის სხეულში არსებულ ქორიონულ გონადოტროპინად წოდებული ჰორმონის მსგავს და ლაბორატორიებში განსაკუთრებული რეკომბინანტური დნმ-ის მეთოდით გამომუშავებულ და კორიოგონადოტროპინ ალფას შემცველ სამედიცინო პროდუქტს. ეკუთვნის რეპროდუქციის პროცესის ჩვეულებრივი შემოწმების დროს მიღებულ გონადოტროპინებად წოდებული ჰორმონების ჯგუფს. OVITRELLE წარმოადგენს გამჭვირვალე და უფერო საინექციო ხსნარს. 0,5 მილილიტრიანი საინექციო ხსნარის შემცველი ერთი ცალი მოსახმარებლად გამზადებული სავსე შპრიცი წარმოდგენილია ორიგინალ შეფუთვაში.

OVITRELLE ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ერთად:

OVITRELLE გამოიყენება ქალებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ სინჯარის ბავშვებთან (ინვიტრო განაყოფიერებასთან) დახმარების გაწევა. მკურნალობის ჩატარება იწყება სხვა პრეპარატების მეშვეობით კვერცხუჯრედის გამომუშავებისათვის, რის შემდეგაც OVITRELLE გამოიყენება ამ კვერცხუჯრედების მოსამწიფებლად.
გარდა ამისა, OVITRELLE გამოიყენება ისეთ პაციენტ ქალებში, რომლებიც ვერ ახერხებენ კვერცხუჯრედების გამომუშავებას (ანოვულაციას) ან გამოიმუშავებენ კვერცხუჯრედების მცირე რაოდენობას. ეს პრეპარატი აგრეთვე გამოიყენება სხვა პრეპარატების ფოლიკულების განვითარებისა და მომწიფებისათვის, OVITRELLE უზრუნველყოფს საკვერცხეებიდან კვერცხუჯრედების გამოყოფას (ოვულაციას).

## 2. OVITRELLE-ს მოხმარებამდე დასაცავი წესები:

ამ პრეპარატის მიღების დაწყებამდე თქვენმა მკურნალმა ექიმმა უნდა შეაფასოს თქვენი და თქვენი მეუღლის განაყოფიერების უნარიანობა.

### ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში OVITRELLE -ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული:

- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ალერგია კორიოგონადოტროპინ ალფას ან პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ.
- თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ ან თუ ხართ მეძუძური დედა.
- თუ თქვენ გაქვთ კისტა, რომელიც იწვევს საკვერცხეების გადიდებას.
- თუ თქვენ გაქვთ დაუდგენელი მიზეზით გამოწვეული სისხლდენა.
- თუ თქვენ გაქვთ საკვერცხის, საშვილოსნოს ან მკერდის კიბო.
- თუ თქვენ ტვინში გაქვთ ჰიპოტალამუსი ან ჰიპოფიზური კვანძი.
- თუ თქვენ გაქვთ სისხლძარღვების მწვავე ანთება ან სისხლძარღვებში სისხლის შედედება (აქტიური თრომბოემბოლიური დარღვევები).
- თუ თქვენ ვერ ფეხმძიმდებით (მაგალითად, არ გაქვთ საშვილოსნო, საშვილოსნო მთლიანად არ არის განვითარებული და გაქვთ მიომები) ან თუ დაგეწყოთ მენოპაუზა.
- თუ ბოლო 3 თვის განმავლობაში თქვენ გქონდათ გარე ორსულობა.

### ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში OVITRELLE-ს მიღების დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა:

OVITRELLE-ს მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხის ჰიპერსტიმულაციის სინდრომად (OHSS) წოდებული წარმოქმნის რისკი. ეს პრეპარატი იწვევს საკვერცხეებში დიდ რეაქციას და ფოლიკულების დიდი რაოდენობით გამომუშავებას.
მუცლის ქვედა ნაწილში მწვავე ტკივილების არსებობის, წონაში სწრაფი მატების, გულის რევის შეგრძნების ან პირღებინების, ან სუნთქვის უკმარისობის შემთხვევაში, OVITRELLE-ს ინექციის შეყვანა არ არის რეკომენდირებული, ასეთ შემთხვევაში

რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ექთანს (იხილეთ თავი „მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები“). OHSS-ს წარმოქმნის შემთხვევაში, სულ მცირე 4 დღის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოთ სქესობრივი ურთიერთობისგან ან გამოიყენოთ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები.
ბუნებრივ ფეხმძიმობასთან შედარებით, ამ პრეპარატის მიმღები პაციენტების ფეხმძიმედ დარჩენა და მშობიარობის ალბათობა მაღალია. ასეთ შემთხვევებში ტყუპების გაჩენის ალბათობა უფრო დიდია. დახმარების გაწევის გზით ნაყოფების რაოდენობა დამოკიდებულია ჩასახული ემბრიონების რაოდენობაზე.
OVITRELLE-ს ჩვეულებრივი დოზის მოხმარების და პრეპარატის მიღების დროს მთელი ციკლის განმავლობაში პაციენტის მეთვალყურეობის შემთხვევაში (მაგალითად, ესტრადიოლის დონეების დასადგენად ტარდება სისხლის ანალიზები და ულტრასტონოგრაფიული გამოკვლევა), OHSS-ს და რამდენიმე ემბრიონის წარმოქმნის რისკი მცირდება. OHSS-ს ან/და რამდენიმე ემბრიონის წარმოქმნის ალბათობის არსებობის შემთხვევაში, მკურნალობა ჩაითვლება დასრულებულად.
თუ თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს წარსულში გქონდათ ფეხებში და ფილტვებში სისხლის შედედება ან თუ გადატანილი გაქვთ გულის შეტევა, ან ინსულტი, OVITRELLE-ს მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ზემოაღნიშნული პრობლემების წარმოქმნის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რისკის გაზრდა.
OVITRELLE-ს მოხმარების შემდეგ ან მოხმარებიდან 10 დღის განმავლობაში შარდის ანალიზის და ფეხმძიმობის ტესტის ჩატარების შემთხვევაში, არსებობს არასწორი დადებითი შედეგის მიღების ალბათობა. რაიმე ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
თუ ეს გაფრთხილებები წარსულშიც ძალაში იყო თქვენთვის, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

**OVITRELLE-ს საკვებ-სასმელთან ერთად მიღება:**
ამ პრეპარატის მიღება საკვებ-სასმელზე არ ახდენს არანაირ გავლენას.

**ფეხმძიმობა:**
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ OVITRELLE- ს მიღება არ არის რეკომენდირებული.
თუ მკურნალობის ჩატარების პერიოდში თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

**ძუძუთი კვება:**

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
თუ თქვენ ხართ მეძუძური დედა, OVITRELLE-ს მიღება არ არის რეკომენდირებული.

**მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება:**
დადგენილია, რომ OVITRELLE-ს მიღება არანაირ გავლენას არ ახდენს მანქანის ტარების ან ხელსაწყოს მოხმარების უნარიანობაზე.

**მნიშვნელოვანი ინფორმაცია OVITRELLE-ს შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ:**
ამ სამედიცინო პრეპარატის თითო დოზა შეიცავს 1 mmol (23 მილიგრამზე) ნაკლებ ნატრიუმს, ანუ „ნატრიუმს არ შეიცავს“.

**სხვა წამლებთან ერთად მოხმარება:**
ამჟამად ნებისმიერი პრეპარატის რეცეპტით ან რეცეპტის გარეშე მიღების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

**3. OVITRELLE-ს მოხმარების წესი:**
OVITRELLE ყოველთვის უნდა მიიღოთ თქვენი მკურნალი ექიმის დანიშნულების შესაბამისად. რაიმე ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

- **ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ**:

- მოხმარებისთვის გამზადებული 1 ცალი შპრიცი შეიცავს OVITRELLE-ს რეკომენდირებულ ერთ დოზას (250 მიკროგრამ/0,5 მილილიტრს).
- თქვენი მკურნალი ექიმი გაცნობებთ ინექციის შეყვანის ზუსტ დროს.

- **მოხმარების ხერხი და მეთოდი:**

- OVITRELLE შეიყვანება კანის ქვეშ ინიექციის გზით.
- მოსახმარებლად დამზადებული ყოველი შპრიცი განკუთვნილია ერთჯერადი მოხმარებისათვის. გამოყენებული უნდა იქნეს ნაწილაკების არმქონე გამჭვირვალე ხსნარი.
- პრეპარატის შესაყვანად თქვენმა მკურნალმა ექიმმა ან ექთანმა უნდა გაჩვენოთ OVITRELLE-ს შპრიცის მოხმარების წესი.
- OVITRELLE-ს შეყვანა უნდა განხორციელდეს თქვენი მკურნალის ან ექთნის მიერ აღნიშნული ფორმით.

- ინექციის შეყვანის შემდეგ მოხმარებული შპრიცი განადგურებული უნდა იქნეს უსაფრთხო წესით.

ინექცია შეყვანილი უნდა იქნეს ექიმის ან ექთნის მიერ, ან თქვენ და თქვენმა მეუღლემ უნდა ისწავლოთ ინექციის შეყვანა.

OVITRELLE-ს საკუთარი თავისთვის შეყვანის შემთხვევაში, ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ აღნიშნული წესები:

1. დაიბანეთ ხელები. ხელები და თქვენს მიერ გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს სუფთა.

2. მოამზადეთ ყველა საჭირო ნივთი. გაითვალისწინეთ, რომ პრეპარატის კოლოფში არ არის მოთავსებული სპირტიანი ბამბა. მოძებნეთ სუფთა ადგილი და ზედ დაალაგეთ თქვენთვის საჭირო ქვემოთ აღნიშნული ნივთები:

- ორი სპირტიანი ბამბა;
- პრეპარატის შემცველი მოსახმარებლად გამზადებული შპრიცი;

3. ინექცია:

დაუყოვნებლივ შეიყვანეთ ხსნარი:

თქვენმა მკურნალმა ექიმმა ან ექთანმა უკვე აგიხსნათ ინექციის შეყვანის ადგილი (მაგალითად, მუცელი ან კუნთის წინა მხარე). თქვენს მიერ არჩეულ ადგილს წაუსვით სპირტიანი ბამბა. მოუჭირეთ ხელი კანს და შეიყვანეთ ნემსი 45-დან 90 გრადუსიანი კუთხით. შეიყვანეთ ინექცია თქვენთვის ნაჩვენები ფორმით. ინექციის სისხლძარღვში შეყვანა დაუშვებელია. ნელი მოძრაობით შეიყვანეთ ხსნარი დგუშზე ხელის დაჭერის გზით. გამოიყენეთ ხსნარის მთლიანი რაოდენობის შესაყვანად საჭირო დრო. დაუყოვნებლივ ამოიღეთ ნემსი და წაუსვით კანს სპირტიანი ბამბა წრიული მოძრაობით.

4. გაანადგურეთ ყველა გამოყენებული ნივთი:

ინექციის შეყვანის დასრულების შემდეგ გადააგდეთ ცარიელი შპრიცი და გამოუყენებელი ხსნარი.

- **სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები**:

**ბავშვებში მოხმარება**:

ბავშვებისათვის OVITRELLE-ს მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული.

- **ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:**

**ხანდაზმული პირებისათვის მოხმარება**:

ხანდაზმული პირებისათვის OVITRELLE-ს მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული.

- **მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები**:

**თირკმელების უკმარისობა/ღვიძლის უკმარისობა**:
თირკმელების ან ღვიძლის უკმარისობის მქონე პაციენტებისათვის OVITRELLE-ს მოხმარების უსაფრთხოება და ეფექტი არ არის დადგენილი.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეამჩნევთ OVITRELLE-ს ძლიერ ან სუსტ მოქმედებას, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

**თუ თქვენ ღებულობთ OVITRELLE-ს საჭიროზე დიდი დოზით:**
OVITRELLE-ს საჭიროზე მეტი დოზით მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხეების ჰიპერსტიმულაციის სინდრომის ჩამოყალიბება. მუცლის ქვედა ნაწილში მწვავე ტკივილების არსებობის, წონაში სწრაფი მატების, გულის რევის შეგრძნების ან პირღებინების, ან სუნთქვის უკმარისობის შემთხვევაში, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
OVITRELLE-ს საჭიროზე მეტი დოზით მოხმარების შემთხვევაში, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

**თუ თქვენ დაგავიწყდათ OVITRELLE-ს მიღება:**
თუ თქვენ დაგავიწყდათ OVITRELLE-ს მიღება ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
დავიწყებული დოზის ასანაზღაურებლად ორმაგი დოზის მიღება დაუშვებელია.

**4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები**?
ისევე, როგორც ყველა წამალი, OVITRELLE-ს მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გარკვეული გვერდითი ჩვენებები.
გვერდითი ჩვენებები იყოფა ქვემოთ აღნიშნულ კატეგორიებად:

**ძალიან გავრცელებული:** შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე ერთს.
**გავრცელებული:** შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 100 პაციენტიდან ერთზე მეტს.
**არ გავრცელებული:** შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 1.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.
**იშვიათი:** შეიძლება წარმოექმნას 1.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 10.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.
**ძალიან იშვიათი:** შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.
**უცნობი:** ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მონაცემები არ მოიპოვება.

**ქვემოაღნიშნული ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, შეწყვიტეთ OVITRELLE-ს მიღება და ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან მიმართეთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას**:

- საკმაოდ ხშირად შეიძლება წარმოიქმნას პულსის აჩქარების, ენის და ყელის დასივების, ცემინების, ხიხინის ან სუნთქვის მწვავე უკმარისობის მაგვარი ალერგიული რეაქციები.
- შეიძლება წარმოიქმნას ისეთი ნიშნები, როგორიცაა გულისრევის შეგრძნება (საკუთარი თავის შეუძლოდ გრძნობის) ან პირღებინების, მუცლის ქვედა ნაწილში ტკივილის და საკვერცხეების ჰიპერსტიმულაციის სინდრომის (OHSS) მაგვარი სიმპტომები, რაც შეიძლება იყოს საკვერცხეების პრეპარატზე რეაქციის და საკვერცხეში დიდი ზომის კისტის წარმოქმნის მაჩვენებელი (იხილეთ თავი 2). ყველა ზემოაღნიშნული ჩვენება წარმოადგენს გავრცელებულ ჩვენებებს.
- OHSS-მ შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხეების ზრდა, შარდის რაოდენობის შემცირება, წონაში კლება, სუნთქვის უკმარისობა და კუჭში და გულმკერდში სითხის დაგროვება. ყველა ზემოაღნიშნული ჩვენება არ წარმოადგენს გავრცელებულ ჩვენებებს.
- ძალიან იშვიათად შეიძლება აღინიშნებოდეს OHSS-სგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი სისხლის სერიოზულ შედედებასთან დაკავშირებული გართულებები (თრომბოემბოლიის შემთხვევები), რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის უკმარისობა, ინსულტი ან გულის შეტევა (იხილეთ დავი 2).

ყველა ზემოაღნიშნული ჩვენება წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ გვერდით ჩვენებებს. ნებისმიერი ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს სასწრაფო სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

**სხვა გვერდითი ჩვენებები მოცემულია თავიანთი სიხშირის მიხედვით:**

**გავრცელებული:**

- თავის ტკივილი, დაღლილობა;
- ნანემსარი ადგილის ტკივილის, სიწითლის ან დასივების მაგვარი რეაქციები.

**არ გავრცელებული**:

- ფაღარათი;
- დეპრესია (მორალურად დაცემა), გაღიზიანება ან უხასიათობა;
- მკერდის ტკივილი.

**ძალიან იშვიათი:**

- კანზე გამონაყარის მაგვარი სუსტი ალერგიული რეაქციები.

გარე ორსულობა, საკვერცხეების გადახლართვა (მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს საკვერცხეზე) და სხვა გართულებები შეიძლება გამოწვეული იყოს თქვენი მკურნალი ექიმის მიერ გამოყენებული დამხმარე მეთოდებით.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი ჩვენებების მოხსენება:

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს, ან თქვენს ექთანს. გარდა ამისა, წარმოქმნილ გვერდით ჩვენებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დააკლიკოთ www.titck.gov.tr ვებ გვერდზე არსებულ „წამლების გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების“ ლინკს ან დარეკოთ 0 800 314 00 08 ნომერზე თურქეთის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ცენტრში (TÜFAM) და აცნობოთ გვერდითი ჩვენებების შესახებ. წარმოქმნილი გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების დატოვების შემდეგ, თქვენ მოგეწოდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენს მიერ მოხმარებული პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ.

5. **OVITRELLE-ს შენახვა:**
შეინახეთ OVITRELLE ბავშვების ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.
შეინახეთ OVITRELLE მაცივარში 2-დან 8 გრადუსამდე ტემპერატურის პირობებში.
მაცივრის არ არსებობის შემთხვევაში, შეინახეთ 250 მიკროგრამიანი OVITRELLE-ს საინექციო ხსნარი ოთახის ტემპერატურის პირობებში (25$^{0}$C-იანი ან ნაკლები ტემპერატურის პირობებში) 30 დღის განმავლობაში, პრეპარატის გამოუყენებლობის შემთხვევაში, 30 დღის შემდეგ საჭიროა მისი გადაგდება.

**პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად**.
შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ OVITRELLE-ს მოხმარება დაუშვებელია /მისი მოხმარება საჭიროა ვარგისიანობის ვადის ამოწურვამდე.
OVITRELLE განკუთვნილია მხოლოდ ერთჯერადი მოხმარებისათვის.
ყველა გამოუყენებელი ხსნარი უნდა იქნეს გადაყრილი.
ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.

**ლიცენზიის მფლობელი**: სს „მერქ ილაჩ ეჯზა ვე კიმია“

ატაშეჰირი /  სტამბოლი.

**წარმოების ადგილი:** Merck Serono S.p.A.
Modugno/Bari/ იტალია

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 28.12.2018 წელს.